ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 19.09.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 015/23

შეკითხვა:

I. დაირღვევა თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსი, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი საგამოძიებო ორგანოს, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ მიაწვდის სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ინფორმაციას, მაშინ როდესაც აღნიშნული ინფორმაცია არ არის კავშირში მის მიერ ნაწარმოებ საქმესთან და მას ეს ინფორმაცია არ მოუპოვებია კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურეობის გაწევის პერიოდში.

II. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი შეუთანხმდება მოქალაქეს, საგამოძიებო ორგანოში მისი საშუალებით, სხვადასხვა განცხადებების შეტანასა და საქმეზე ინფორმაციის მიწოდებაზე, ითვლება თუ არა რომ ადვოკატი უწევს სუბიექტს საადვოკატო მომსახურეობას და ხომ არ დაირღვევა პროფესიული ეთიკა, თუ ის აღნიშნულ საქმეზე გამოიკითხება მოწმედ; არ მისცემს მარწმუნებლის საწინააღმდეგო ჩვენებას, თუმცა მისი თანხმობის გარეშე გაამჟღავნებს მისგან გაგებულ სხვა ინფორმაციას.

ანალიზი:

I შეკითხვის საპასუხოდ უნდა განიმარტოს, რომ პროფესიული საიდუმლოება ვრცელდება ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ყველა იმ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა კლიენტის წარმომადგენლობის პროცესში და უკავშირდება კლიენტის საქმეს. ხელშეუხებელია ის ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის სამართლებრივი დაცვის მიღების მსურველი პირისაგან უშუალო კომუნიკაციის შედეგად გახდა ცნობილი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან არ დაირღვევა ადვოკატის პროფესიული ეთიკა, თუ მან სამართალდამცავ ორგანოს, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ჩვენება მისცა და მიაწოდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც მას არ მოუპოვებია, კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურეობის გაწევის პერიოდში.

II შეკითხვით აღწერილ ფაქტებთან დაკავშირებით, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ პროფესიული პასუხისმგებლობა ადვოკატზე ვრცელდება იმ მომენტიდან, როდესაც ადვოკატი წევრიანდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, დებს ფიცს, რომ „იქნება სამართლიანობის იდეების ერთგული, კეთილსინდისიერად და პირნათლად შეასრულებს ადვოკატის მოვალეობებს, დაიცავს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, ადვოკატთა

პროფესიული ეთიკის კოდექსს, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს“ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 21[1].1), რის შედეგად პირი ხდება ადვოკატი - თვითრეგულირებადი პროფესიის ნაწილი. შესაბამისად, ასეთი პირის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურება ითვლება ადვოკატის მიერ განხორციელებულ საადვოკატო საქმიანობად (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2) და მასზე ვრცელდება პროფესიული პასუხისმგებლობა. შესაბამისად კითხვაში, აღწერილი ფაქტების თანახმად ადვოკატის მიერ მოქალაქის ინტერესების საკეთილდღეოდ განხორციელებული ქმედებები, ითვლება მისი მხრიდან საადვოკატო საქმიანობად და მას ეკისრება პროფესიული ეთიკის დაცვის ვალდებულება.

რაც შეეხება ადვოკატის, მოწმის სახით გამოკითხვას და მისი მხრიდან კლიენტის ნებართვის გარეშე, მისგან მიღებული ინფორმაციის გამჟღავნებას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ იყო კლიენტის საზიანო, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს ევალებოდა პროფესიული საიდუმლოების დაცვა და მას კლიენტის ნებართვის გარეშე მისგან მიღებული ინფორმაცია, სამართალდამცავი ორგანოებისთვის არ უნდა გაემჟღავნებინა. ამასთან ადვოკატს, პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც ყოფილი თუ აქტიური კლიენტის, ასევე პოტენციური კლიენტის მიმართ, შესაბამისად ადვოკატის შესაძლო ვარაუდი, რომ ის არ უწევდა მოქალაქეს საადვოკატო საქმიანობას, არ გამორიცხავს მისი მხრიდან პროფესიული ეთიკის დარღვევის ფაქტს.

დასკვნა:

ადვოკატის მხრიდან არ დაირღვევა ადვოკატის პროფესიული ეთიკა, თუ ის სამართალდამცავ ორგანოს, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ჩვენებას მისცემს და მიაწვდის ისეთი ინფორმაციას, რომელიც მას არ მოუპოვებია, კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურეობის გაწევის პერიოდში.

ადვოკატის მიერ მოქალაქის ინტერესების საკეთილდღეოდ განხორციელებული იურიდიული ქმედებები, ითვლება მისი მხრიდან საადვოკატო საქმიანობად და მას ეკისრება პროფესიული ეთიკის დაცვის ვალდებულება.

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი პოტენციური თუ აქტიური კლიენტის ნების გარეშე გაუმხელს სამართალ დამცავ ორგანოებს, მისგან მიწოდებულ ინფორმაციას, ადვოკატი დაარღვევს პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.